726ს/8413

ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 13 (293) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 14 ივლისი

არც ერთ ქალს ისე არ ვუსახელე-ბივართ საქეყნოდ, როგორადაც ნონა გაფრინდაშვილმა გვასახელა.

ბარაქალა, დედოფალო!



დათო და ნონა

ქრის სიხარული, თუ გნებავთ ტრიუმფიც, რასაც დრო და უამი ვერაფერს აკლებს, ამოდ რჩება ადამიანის, ერისა და ხალხების შეგნებაში, ადგილს იმკვიდრებს ისტორიაში ასომთავრულით. არიან არსებანი, რომელნიც სულიერი, გონებრივი და ადამიანური ნათებით არასოდეს არ ნელდებიან, მით უფრო, არ იწვიან და არა ქრებიან საუკუნეთა დაუნდობლობით, მათი სახელი ოქროს ასოებით არის ჩამოსხმული და თვალმარგალიტით მოოქვილი თაობათა მოკრძალებული თვალით წასაკითხად. ქართველთა მოდგმას ცოტა როდი ჰქონია ამგვარი სიხარული, ცოტა როდი ჰყოლია ამგვარი სულმნათი მამულიშვილი, მაგრამ ერის ბედნიერება სწორედაც ის არის, რომ ჩვენი საუკუნის ნახევარმა ქართველი ხალხის სახელოვანი მამულიშვილებით გაანებივრა ძმობად ამაღლებული საბჭოეთი, ერის სასიქადულო შვილნი ამრავლა ისე, როგორც არასდროს არა ჰყოლია ჩვენს მამულს, სიხარულს, წინსვლასა და გამარჯვებებს კალთით რომ უბერტყავენ მშობლიურ ქვეყანას, იმერ და ამიერ ქართველეთს, შარავანდედის ბრწყინვალე ელვარებით რომ უნათებენ მომავალ თაობებს სამშობლოს სიყვარულისა და სიხარულის უკიდეგანო პროსპექტს.

მრავალნი გვყავდნენ, მრავალნი გვყვანან და კვლავაც მრავალნი გვეყოლებიან საბჭოეთის საამაყონი, ქართველთა გულისა და სულის ამღელვებელნი, მაამებელნი და სიკეთით მმოსველნი. ბედნიერია ქვეყანა, ერი, დედულეთი თუ მამულეთი, რომელსაც სიყვარულით ნაზარდი ძენი და ასულნი ამაგს დაუფასებენ და ასახელებენ, ჩვენს შორეულ წარსულსა და გუშინდელ აწმყოს ბევრი ჰყოლია და დღესაც ჰყავს ღირსსაცნობი, სახელოვანი, ჭკვიანი, კეთილი, სათნო, თავდადებამდე ერთგული მანდილოსანი, რომელთაგან, არა გვგონია შევცდეთ თუ ვიტყვით, რომ არავის ისე მტკიცედ, ისე ხანგრძლივად, ისე შეუპოვრად არ გაუთქვამს ჩვენი ქვეყნის სახელი მსოფლიოში, როგორადაც ესა ჰქმნა მეოცე საუკუნის ამ უკანასკნელი ოცეული წლის მანძილზე ნონა გაფრინდაშვილმა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ჭადრაკში.

ჩვენმა ნონამ, ჩვენმა სისხლხორცმა, საამაყო მამულიშვილმა მეოთხედ გვაფორიაქა, მეოთხედ გვაღელვა და მეოთხედ გაგვახარა ქალთა ჭადრაკის სამყაროში ტოლუდები გვირგვინის ბოძებით. ამ სიხარულის გამო სწორედ რომ ქვეყანამ, მამულმა ღირსეულად დაიფასა და მამაშვილური პატივი დასდო, გულიდან მონადენი მშობლიური სითბო მიართვა ოქროს დედოფალს, ჭადრაკის ქალღმერთს, საბჭოთა მიწის საქვეყნოდ განთქმულ ასულს — ჩვენს ნონას, ნონა გაფრინდაშვილს.

ჯერ კიდევ რიგაში არ აკლებდა მამული ყოველდღიურ ფიქრსა და ზრუნვას, ყოველი მისი ნაბიჯი, ადამიანური წარმატება და სპორტული წარუმატებლობა ჩვენი ხალხის, ჩვენი მესვეურების, ყოველი მამულიშვილის საზრუნავი და საფიქრალი იყო. სულგუნი რა არის, ჟყლინტ სულგუნსაც კი სამეგრელოდან უგზავნიდა მამულეთი, მეგრულ ჭადს უცხობდნენ მის გვერდით მცხოვრები ნათესავები, ქართულ ზრუნვასა და სიყვარულს ქართულად გამოხატავდა ყველა ერთად — დიდი და პატარა. დათუნია, პატარა დათოც კი, ნონას სიყრმის ვაჟიშვილი, დედას არ კითხულობდა, არ აწუხებდა მშობელს ალერსით, თათუნების ლოყაზე ფერებით. პატარა ბიჭიც კი გრძნობდა ქვეშეცნეულად, რომ დედამისი თავიანთი, დედა-შვილის სამშობლოს სამსახურით იყო დროწართმეული და მამისა და ნათესავთა ალერსსა სჯერდებოდა შუბლშეკრული და დამუშტული...

სამშობლო ღელავდა, სამშობლო ფიქრობდა, „სამშობლომ" მოძმე გაუგზავნა გასამხნევებლად, გულმისაცემად, მოკრძალებული თბილი სიტყვა უბოძა თავის ფურცლებზე და სპორტული წაბორძიკების ერთ საღამოს სევდაც კი გაუნელა მსოფლიო დედოფალს. გაიმარჯვა და ვაშა დავძახეთ, გულიდან ვიხარეთ, ნათელი გვეფინა უველა ჩვენგანს და, ალბათ, თქვენც, უცხოეთში მცხოვრებო ჩვენო თანამემამულენო. ვაშა იმ გამარჯვებას, ვაშა იმ სიხარულსა და სიყვარულს, უველას ერთობ რომ გვატრიალებს სულსა და გულში. დიდება ჩვენს დიდებულ აწმყოს, ნათელ მომავალს, ძმათა სიყვარულს, დათა დობას, მარადუამიერი დიდება!

გაიმარჯვა და დაბრუნდა. სამშობლომ თბილად ჩაიხუტა პირველი ქალი, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი, დათოს დედა და ჩვენი ნონა გაფრინდაშვილი. მამა-შვილურად მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მუავანაძემ. გულისყურით მოუსმინა ასპარეზობის ამბები, მშობლიურად მიულოცა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის მეოთხედ მოპოვება და უსურვა ახალი გამარჯვებანი, ბედნიერება და წარმატება ცხოვრებასა და შრომაში, გადასცა სამახსოვრო საჩუქარი. დარბაზობა, მამაშვილური მიღება, ძვირფასი საჩუქარი, ყოველივე ერთად გამთბატულება იყო ქართველი ხალხის ნება-სურვილისა, მისი საერთო მადლობისა და სიყვარულისა, სამშობლოს დაფასებისა და პატივისცემისა.

ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის კეთილშობილებაზე და თვით ეროვნულ ბუნებაზე მეტყველებს ისიც, რომ მსოფლიო ჩემპიონის კვარცხლბეკზე ასულმა ნონამ თავისივე ქვეყნის მკვიდრს ალა კუშნირს, პირველმა რომ მიულოცა გამარჯვება, დური სითბო და სიყვარული არ დააკლო, მადლიანი სიტყვა უთხრა და კეთილად გაშორდა დიდ ორთაბრძოლაში წაგებულს, რითაც კიდევ უფრო ამაღლდა უველას თვალში.

ვუსურვოთ ჩვენს ნონას დიდხანს სიცოცხლე, მამულის მარადუამიერი გაბარება და საქვეყნო მშვიდობა, რათა მარად უომრად ეცხოვროს მის დავაჟკაცებულ დათოს, ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობასთან ერთად ომი არასოდეს ენახოს.

ბარაქალა, დედოფალო!





სურათებზე: (მარცხნიდან) ალა კუშნირი და ნონა გაფრინდაშვილი; შეხვედრა თბილისში.

ლევან ხერხეულიძისა და მიხეილ ზარიძის ფოტოები.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ — აღმოსავლეთის ციხკარს!

ბაზეთ „სამშობლო“ ძმური სიყვარულითა და მამულიშვილური პატივისცემით მიესალმება ორმოცდაათი წლის მარადიულ ჭაბუკს, ჩვენი ქვეყნის ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთ სახელოვან ორგანოს, ქართულ მიწაზე რუსული სიტყვის დიდოსტატს „აღმოსავლეთის ციხკარს“ და უსურვებს მარადჟამიერ წარმატებას, დაუშრეტელ ენერგიას, პარტიულ შემართებასა და ერისკაცულ მგზნებარებას იმ ვეებერთელა შემოქმედებით შრომაში, რასაც ერთგულად ემსახურება საბჭოური პრესის ყოველი მაშვრალი.

ძვირფასო ციხკრელებო! თქვენი ციხკარი იმ ბრწყინვალე გამზირს უნათებს, რომლის სათავე ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ბილიკებით დაჰქნა ჩვენმა სასიქადულო წინაპარმა ერეკლემ და რომლის საგულდაგულო მშენებლობასაც თავიანთი მადლცხებული მარჯვენა დაუზოგავად ახმარეს მე-19 საუკუნის ქართველთა სასიქადულო სამოციანელებმა დიდი ილიას წინამძღოლობით. ქართველი ერის მარად ცოცხალი პაპის, „დედა-ენისა“ და „რუსკოე სლოვოს“ შემქმნელის იაკობ გოგებაშვილის მოთაობით. თქვენ უნათებთ გამზირს, რომლის მოკირწყლული თუ მოუკირწყლავი გზის ვეებერთელა, ფართო და უკიდეგანო პროსპექტად შენებას სიცოცხლე შეალია იოსებ სტალინმა, უნათებთ იმ გამზირს, რასაც საქებარი მამულიშვილური გულდაგულობით დასთათანებს, უვლის და კვლავაც სამარადისოდ მოუვლის ქართველი ერი, ჩვენი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

თქვენზე, ციხკრელებო, თქვენს ამაგზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ხალხთა ძმობის, ერთობისა და სიყვარულის მოვლა-პატრონობაში, განმტკიცებაში, მარადიულობამდე აღზევებაში; ჩვენ გიცნობთ თქვენ, გიცნობთ როგორც კარის მეზობლები და ამიტომაც გვჯერა, რომ ყოველთვის მუყაითად მოუვლით და უპატრონებთ ქართველი ერის სახელოვანი შვილების მიერ დაუშრეტელი ძალით გაკვლეულ ამ მარადიულ გამზირს, მოუვლით ისე, როგორც უვლიდა გაზეთის ყოველი ადრინდელი რედაქტორი თუ მოადგილე, განყოფილების გამგე თუ ლიტმუშაკი, კორესპონდენტი თუ ასოთამწყობი, დამკაბადონებელი თუ მემანქანე, შიკრიკი თუ მბეჭდავი, მოუვლით, ისე როგორც უვლის, პატრონობს და თავისეული შემოქმედებითი ნიჭიერებით ზედ დასთათანებს პატიოსანი, დაუღალავი, მართალი კაცი — შალვა ყარყარაშვილი.

დიდება თქვენს შრომას, თქვენს ღამისთევას, თქვენს ციხკარს დიდება აწ და მარადის!

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია.

გელგიელები ეცნობიან საქართველოს

5 მარტს ბელგიის ტელევიზიამ 45 წუთი დაუთმო ფრიად საინტერესო გადაცემას საბჭოთა საქართველოზე. გადაცემის ორგანიზატორები იყვნენ ბელგიაში „ინტურისტის“ წარმომადგენლები.

გადაცემის ავტორები ძირითადად ეყრდნობოდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებიდან გაგზავნილ წიგნებს საქართველოს ისტორიაზე, გეოგრაფიაზე, მის მიღწევებზე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის სხვადასხვა დარგში, ქართველ მხატვართა ალბომებს, ქართული პოეზიის ანთოლოგიას, ნოტებს, ფოტოინფორმაციებს, ქართული მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერებს, კინოფილმებსა და სხვას. დიდი ადგილი დაეთმო ტურისტულ ღირსშესანიშნაობათა ჩვენებას და საქართველოს კურორტებს.

ბელგიის ტელევიზიის მუშაკთა მონაცემებით, გადაცემას უყურებდა მილიონზე მეტი ტელემაყურებელი. ამიტომაც იყო, რომ გადაცემის შემდეგ „ინტურისტის“ წარმომადგენლებმა, ბელგია-საბჭოთა კავშირის საზოგადოებამ და ტურისტულმა ფირმებმა უამრავი ბარათი მიიღეს, რომელშიც ითხოვდნენ მასალებს საქართველოს შესახებ და ტურისტულ საგზურებს ჩვენი ქვეყნის უკეთ გასაცნობად.

ვახტანგ ჯოგაძეს

10658 ASTONE –

A. V. LOS ANGELES
USA

ბატონო ვახტანგ!

ბაზეთ „სამშობლოს“ მეთერთმეტე ნომერში მოვათავსეთ სა-უბარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ რექტორთან, პროფესორ დავით ჩხიკვიშვილთან, რომელსაც შარშან პირადად გაუცნიხართ ამერიკაში მოგზაურობისას. დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია თქვენს შრომას შავი მთის შესახებ. ჩვენში იციან, რომ თქვენ დიდი არქეოლოგიურ-ისტორიული სამუშაო გასწიეთ. ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ეს საკითხები ძალზე საინტერესო იქნებოდა. ამიტომ, გთხოვთ, „სამშობლოში“ გამოსაქვეყნებლად მოგვიმზადოთ წერილი, რომელშიც ჩვენს მკითხველებს მოუთხრობთ უშუალოდ თქვენს მიერ გაწეული კეთილშობილური მუშაობის შესახებ.

ძრმა პატივისცემით —

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი

ბიძი კარბელაშვილი

„ქუთაისს“ ეიესალმება „სამშობლო“

ძვირფასო თანამოკალმენო! „სამშობლოს“ კოლექტივი ძმური სიყვარულით ულოცავს „ქუთაისს“ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, ყოველ თქვენთაგანს უსურვებს ჯანმრთელობას, დაუშრეტელ შემოქმედებით ხალისსა და სამშობლოს მარადჟამიერ ერთგულებას — ქვეყანად არსებულ ყველა სიკეთეთა უპირველეს საწინდარს.

რომელ სოფელსა თუ ქალაქშიც უნდა იყოს დაბადებული ქართველი, მისთვის ყოველთვის ძვირფასი იყო და იქნება იმიერ საქართველოს გულთაგული, თბილისის ღვიძლი ძმა — ქუთაისი თავისი ისტორიით, აწმყოთი და მომავლით, თავისი ძველი, საქებარი ინტელიგენციით, კულტურული და რევოლუციური ტრადიციებით, კაცურ-კაცობით, მგზნებარებით, შრომისა და ცხოვრების ტოლუპოვარი სიყვარულით, თვით იმ შესანიშნავი „ბულგარით“, ესოდენ ძვირფასი რომ არის ყველა დროისა და ჟამის ქუთაისელისათვის.

თქვენი ორმოცდაათი წლის გაზეთი ყოველთვის დიდი შემოქმედებითი მგზნებარებით, საზრიანი ტაქტით უვლიდა და კვლავაც მოუვლის საქართველოს მეორე ქალაქს, მის მაჯისცემას ადარდნობებს სამშობლოს ძვირფასი ქალაქის ცხოვრებას, გამარჯვებას თუ ნაოჩრდილევს, მუშის ზეიმსა თუ „ტორპედოს“ წაბორძიკებას, თეატრის აღზევებას და ახალგაზრდობის შემართებას, ყველაფერს იქნს იმისათვის, რომ საბჭოეთის მზით გამთბარ ქუთაისში იყოს ძმობა, ერთობა და სიყვარული, იყოს შრომის პატივისცემა და შიგადაშიგ გამორეული უნიათობის ქუთაისურად ენამახვილური დანისლვა.

თქვენს ფურცლებზე დაბეჭდილი ყოველი სტრიქონი, ინფორმაცია, რეპორტაჟი, წერილი, ნარკვევი, ლექსი თუ მოთხრობა მოკრძალებით გვაუწყებს იმ დიდ სიყვარულს, რომელსაც ყველა თქვენგანი მაშვრალი გულით ატარებს შრომიანი ქალაქისადმი, მისი ყოველი მკვიდრისადმი, და იგი, ეს სიყვარული, არის უტყუარი საწინდარი მოხუცური სიბრძნით განათებული და მარადიული ჭაბუკობით შთაგონებული ჩვენი და თქვენი ქუთაისის ახალ-ახალი გამარჯვებებისა და შეუნელებელი წინსვლისა. თქვენი ყოველი ღამისტეხვა, ჩაშლილი სტრიქონი, რეპორტაჟი თუ გვერდი თავდებია იმ დიდი ერთგულებისა, ურომლისოდაც გაზეთი ვერ იქნებოდა ქალაქის მედროშე.

ძვირფასო „ქუთაისელებო“! თქვენი ზეიმის დღეებში კიდევ ერთხელ გილოცავთ სახელოვან იუბილეს, გისურვებთ მარადჟამიერ წარმატებას ყოველ თქვენგანს, ძმურად გეხვევით, გკოცნით ყველას უკლებლივ, გვი მეფისაშვილით დაწყებული და მანანა ხურციძით დამთავრებული. ვაშა თქვენს შრომას, ტაში თქვენს ზეიმს, პატივისცემა თქვენს მკითხველს და გამარჯვება თქვენსა და ჩვენს ქუთაისს!

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია.

მიენიჭათ საპატიო წოდება

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 9 ივნისის ბრძანებულებით საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭათ საპატიო წოდება:

საქართველოს სახალხო არტისტისა

მერაბ გეგეჭკორს — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

ელისო ვირსალაძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ლილიანა მითაიშვილს — თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

რამაზ ჩხიკვაძეს — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

ჭეთევან ბაგრატიშვილს — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგეს.

ლეონ ჭირცხულავას — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორს.

გაიოზ ყორდანიას — თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ რეჟისორს.

ოთარ ფირალიშვილს — ხელოვნებისმცოდნეს.

გიორგი (გია) ყანჩელს — კომპოზიტორს.

საქართველოს დამსახურებული არტისტისა

მედეა გონგლიაშვილს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კონცერტმაისტერს.

ამირან ებრალიძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლ „დიელოს“ ხელმძღვანელს.

ხოსრო ებრალიძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლ „ციცინათელას“ ხელმძღვანელს.

ნათელა მიქელაძეს — თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

გიზო სიხარულიძეს — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

თამარ ჩერქეზიშვილს — მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ლილი ჩიბალაშვილს — თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

გაგვეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ფურცლებზე

● **გდანსკის** უმაღლესი პედაგოგიური სკოლის (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა) გეომეტრიის კათედრის დოცენტი **უსციორ გუნრიხი** ორთვიან სტაჟირებას გადის თბილისის უნივერსიტეტის შეჭანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე პროფესორ ადამ ჩახტაურის ხელმძღვანელობით.

● ჰალეს (გდრ) უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის დირექტორი პროფესორი **კლაუსვინერი** ორი კვირის განმავლობაში მუშაობდა ჩვენი უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში პროფესორ **თენგიზ გველესიანთან** და პროფესორ **ბორის ხვედელიძესთან.**

● ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის (გდრ) მუზეუმის განყოფილების გამგემ **ანგერმან ლენარტემ** ათი დღე დაჰყო ზოოლოგიის კათედრაზე და გაეცნო მის საქმიანობას.

● ლენინგრადის უნივერსიტეტის სტაჟიორებმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის, ფინეთის, კანადის, იტალიის, შვეიცარიის, საფრანგეთის ახალგაზრდებმა დაათვალიერეს ჩვენი უნივერსიტეტი და თბილისის ღირსშესანიშნაობანი.

● ლაიფციგის კარლ ნარქსის სახელობის უნივერსიტეტის (გდრ) პროფესორი **შელჰერ როლფი** სამეცნიერო მუშაობის ურთიერთგაზიარების მიზნით შეხვდა ქიმიის ფაკულტეტის პროფესორ - მასწავლებლებს და წაიკითხა ლექციები.

● უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობს ან სტაჟირებას გადის უცხოეთის ათი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი. მათ შორის ყველაზე მეტი არაბია. ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ისინი ეუფლებიან მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორიც არის მათემატიკა, ფიზიკა, კიბერნეტიკა, გეოლოგია, ქიმია, ბიოლოგია, ფილოსოფია...

ამ დღეებში არაბმა ასპირანტებმა და სტაჟიორებმა უნივერსიტეტის უცხოეთთან სამეცნიერო ურთიერთობის განყოფილებასთან ერთად მოაწყეს შეკრება — ეგვიპტის დღე.

● უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან ჩამოყალიბდა „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის“ თარგმანისა და დამუშავების ჯგუფი. მის მუშაობას წარმართავს ავტორიტეტული სარედაქციო კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან: პროფესორი აკაკი ურუშაძე (მთავარი რედაქტორი, თამაზ დომარე), საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე, პროფესორები გურამ თევზაძე, თინათინ ყაუხჩიშვილი, რომან ბიმინოშვილი, დოცენტები რისმაგ გორგუზიანი (სწავლული მდივანი), ალექსანდრე ალექსიძე, ბაჩანა ბრეგაძე, ირაკლი შენგელია. სარედაქციო კომისიის საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი.

კომისია გამოსაცემად ამზადებს როგორც ფართო საზოგადოებისათვის, ისე სპეციალისტებისათვის განკუთვნილ ქართულ თარგმანებს, რომელთაც დართული ექნებათ პოპულარულად დაწერილი გამოკვლევები, ლექსიკონები და კომენტარები, ხოლო სპეციალურ სამეცნიერო გამოცემებს საჭირო შემთხვევაში — ორიგინალის პარალელური ტექსტიც.

თარგმანებს გამოსცემს უნივერსიტეტის გამომცემლობა სერიით — „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“.

ამ სერიის პირველ წიგნს მალე მიიღებს მკითხველი. „ესენია ჰეროდოტეს „ისტორია“ (სრულად), არისტოტელეს ზოგიერთი თხზულება, ქსენოფონტეს ცნობილი ტრაქტატი „მემორაბოლია“, საფოს ლირიკა, ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ და სხვა.

საქართველოს ახალგაზრდობა

„იყო კომკავშირელი, მოწინავე ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანი, ნიშნავს აქტიურად მონაწილეობდე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პირადი მაგალითით ამკვიდრებდე კომუნისტური მორალის ნორმებს, ნიშნავს ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდე კომუნისტურ პარტიას, სამშობლოს, ხალხს“.

ვასილ მჟავანაძე

ქართველი ქალიშვილები და ჭაბუკები ყოველწლიურად აღნიშნავენ თავიანთ დღესასწაულს — საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს, რომელსაც საფუძველი რევოლუციის გარიჟრაჟზე ჩაეყარა. იქმნებოდა პირველი კომკავშირული უჯრედები. „ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის“ წევრები ეხმარებოდნენ პარტიას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, შიმშილთან ბრძოლაში, დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენაში. სამამულო ომის წლებში კი ფაშისტებთან ცხარე ბრძოლებში იცავდნენ ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

ახალგაზრდობა ყოველთვის მხარში ედგა უფროს თაობას. ჩვენი ახალგაზრდობის გმირული შემართება შესანიშნავად გამოვლინდა ზაჰესისა და რიონჰესის, ახალი ქალაქებისა და სოფლების, ფაბრიკა-ქარხნებისა და საცხოვრებელი მასივების მშენებლობებზე, კოლხეთის ჭაობების ამოსაშრობად თავდადებულ შრომაში.

სიჭაბუკე ადამიანის ცხოვრების ის პერიოდია, როცა ყალიბდება რწმენა, შრომისადმი დამოკიდებულება, ხასიათი და შესაბამისად შეხედულება მორალზე, ზნეობაზე, სულიერ ფასეულობაზე, როცა იგი იძენს პრაქტიკულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის თვისებებს. და რამდენადაც ღრმად შეიგნებს ახალგაზრდა პირად პასუხისმგებლობას თავისი კოლექტივის, მთელი ჩვენი საზოგადოების საქმისადმი, იმდენად უფრო სისხლხორცეულად დაუკავშირებს საკუთარ იდეალებს თავისი ხალხის დიად მიზნებს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე სასახელო წარმატებებს აღწევს 4.200-ზე მეტი კომკავშირული ბრიგადა, საამქრო, უბანი, რგოლი, რომლებშიც გაერთიანებულია 40.000-ზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა.

უფროსი თაობების სასახელო ტრადიციებზე აღზრდილი ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები საამაყო წარმატებებს აღწევენ შრომაში, სწავლაში, სპორტში, რადგან სიახლისადმი სწრაფვასა და შემოქმედებით მუშაობაში ხედავენ ჩვენი სამშობლოს წინსვლისა და ძლიერების წყაროს.

შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა ის მიღწევა, რომელიც საქართველოს ახალგაზრდობის სასახელო საქმეთა გმირული მატიანის შემავსებელია, მაგრამ გვინდა საგანგებოდ გამოვყოთ მსოფლიოში უნიკალური თაღოვანი კაშხალის — ენგურჰესის ახალგაზრდა მშენებელთა წარმატებები.

სიმბოლურია, რომ ენგურჰესს ახალგაზრდობა აშენებს — 42-ზე მეტი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ძალისა და ენერგიის დაუზოგავად იბრძვის მშენებლობის ვადაზე ადრე დასამთავრებლად. ამის დამადასტურებელია სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული პირველი ადგილი.

რესპუბლიკის ახალგაზრდობის შრომითის გამარჯვებებზე რომ ვლაპარაკობთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეცხრე ხუთწლედის პირველ წელიწადს საქართველოში ფართოდ გავრცელდა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრების მზია არათანაშვილისა და ელენე კოწიწაშვილის პატრიოტული თაოსნობა — ხუთწლედის დავალება შეასრულონ 4 წელიწადში. ამ სასარგებლო წამოწყებას 50 ათასი ახალგაზრდა გამოეხმაურა.

სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია პროფესიული ოსტატობის ამაღლება, წარმოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია, საწარმოებში უახლესი ტექნიკის დანერგვა. კომკავშირული ორგანიზაციები დიდ და განსაკუთრებულ ადგილს უთმობენ პროფესიული ოსტატობის ამაღლებას... შექმნილია ტექნიკური პროგრესის სპეციალური შტაბები, სადაც გაერთიანებული არიან ახალგაზრდა ნოვატორები, კონსტრუქტორები, რაციონალიზატორები, ოსტატები, მუშები. ეს შტაბები კოორდინაციას უწევენ ყველა კომკავშირული ორგანიზაციის მონაწილეობას სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში.

მარტო თბილისში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს ახალგაზრდა სპეციალისტთა 372 საბჭო, 76 საზოგადოებრივ-საკონსტრუქტორო ბიურო, 19 ეკონომიური ანალიზის ბიურო, თბილისის 8500 სპეციალისტისაგან ამ საბჭოებში გაერთიანებულია 3 000-ზე მეტი ახალგაზრდა.

საქართველოს ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი აქტიურად მონაწილეობს სოციალისტურ შეჯიბრებაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის გაზრდისა და ნაყოფიერების ასამაღლებლად. სოციალისტურ შეჯიბრებაში თავიანთი საქმის შესანიშნავი ოსტატები გახდნენ სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქეთევან გოგიტიძე, სოციალისტური შრომის გმირი ლამარა ჩხეიძე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნარიკო ბარამიძე, მექანიზატორები — ნაზიბროლა ხასაია, ლუიზა წყაროზია და სხვები.

მოზარდი თაობის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებულობით აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს.

ვლადიმერ ლენინი ლიტერატურულ საქმიანობას თვლიდა პარტიული მუშაობის განუყოფელ ნაწილად. ლენინის ეს აზრი ფართო გაგებით საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგს მიესადაგება. ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდა, ლიტერატურის, ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, ისტორიის შესწავლა დიდი სახელმწიფო, აუცილებელი საქმეა. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ქმნიან ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებს, რითაც სულიერ საზრდოს აძლევენ ახალგაზრდობას.


სწორედ რესპუბლიკის ახალგაზრდობის მოთხოვნით კომკავშირის სახელობის პრემიები მიენიჭათ მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობის მისედვით შექმნილ ელდარ შენგელაიასა და თამაზ მელიავას ფილმს „თეთრი ქარავანი“, ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსთა კრებულს „ფერადი მერიდიანები“, მორის ფოცხიშვილისა და რევაზ ამაშუკელის საუკეთესო ნაწარმოებებს, ნოდარ წულეისკირის რომანს „თუთარჩელა“.

ახალგაზრდების საყვარელი მწერალია ნოდარ დუმბაძე — საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატი და საქვეყნოდ ცნობილი რომანების ავტორი.

დღითიდღე იზრდება და მტკიცდება საქართველოს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კავშირი მოძმე სოციალისტური რესპუბლიკების თანატოლებთან. მათი ძმობა კიდევ უფრო უწყობს ხელს და განამტკიცებს ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობას. ამჟამად არსებობს ურთიერთკავშირის მდიდარი და მრავალფეროვანი ფორმები, რომლებითაც ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები თავიანთ საზღვარგარეთელ თანატოლებს უკავშირდებიან.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მომავალი თაობა აღიზარდოს ინტერნაციონალიზმის, სამართლიანობის და მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების სულისკვეთებით.


ია გამრეკელი,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი.





სურათებზე: ჩაის საკრეფი მანქანის — „საქართველოს“ მესაჭე ნაზიბროლა ხასაია;

საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული აკადემიური ანსამბლის სოლისტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი იამზე დოლაბერიძე.



ქორწინების მოწმობა

ქორწილი ხალხთა მეგობრობის სამსახურში



იუგოსლავიაშიც ჰქონიათ აკვანი...

ქარგი ტრადიცია დაიმკვიდრეს იუგოსლავიის ქალაქ ლუბლიანის მცხოვრებლებმა: ყოველ წელიწადს აღნიშნავენ დღესასწაულს — „გლეხთა ქორწილს“ და მასში მონაწილეობისათვის იწვევენ ახალგაზრდა ნეფე-პატარძალს იუგოსლავიის სხვადასხვა ქალაქიდან და მეგობარი ქვეყნებიდან.

ნეფე-პატარძალი ეროვნულ ტანსაცმელში უნდა გამოცხადდნენ ქორწილზე, თანაც გამოცდას უტარებენ — სახიძოებს შეშას დააჩეხინებენ და მეოჯახეობის უნარს შეუმოწმებენ, პატარძლებმა კი ცომი უნდა მოზილონ, კერძები მოამზადონ, სიმინდი დაფშვნან, გათიბული თივა აბუდულონ და სუფრა გააწყონ.

წლეულს „გლეხურ ქორწილში“ სხვადასხვა ქვეყნის 15 წყვილი მონაწილეობდა. მათ შორის საქართველოს წარგზავნილებიც იყვნენ. ორგანიზატორებმა პირველად მიიწვიეს ახალგაზრდა საბჭოთა წყვილი—საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წევრები, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ნელი ხაყომია და თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი ბიჭიკო ყურაშვილი, რომელთა მეჯვარეები იყვნენ ამერიკელი ნეფე-დედოფალი კეტრინ და ედვარდ კელლები.

ქორწილის წინ, „თავისუფლებასთან“ გამოთხოვების ნიშნად, გოგონებსა და ვაჟებს თითო უკანასკნელი ღღე აჩუქეს მასპინძლებმა. საპატარძლოებს მასპინძლობდნენ თვალწარმტაც ბლედის ტბასთან, სახიძოებს — პრედვოსში.


ერთ კვირას გაგრძელდა ქორწილი. ჩვენმა ნეფე-პატარძალმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს და თავიც ისახელეს — სპორტის სასახლე „ხალა ლივოლში“ ცეკვა „ქართულით“ მაყურებლები მოჯადოეს — ადგილობრივმა გაზეთებმა აღნიშნეს, რომ ამ სასახლის არსებობის მანძილზე ესოდენი აღფრთოვანებით მაყურებელს არასოდეს არ მიუღიათ არავინ.

ქორწინების შემდეგ მასპინძლებმა ახალბედებს ადრიატიკის ლაჟვარდოვან სანაპიროზე მოუწყვეს ერთკვირიანი „თაფლის თვე“, სადაც ფეშენებელური კურორტის უბრწყინვალესი სასტუმრო „მეტროპოლი“ უქციეს ბედის სახლად. ჰოტელის დირექციამ კი შინ გამოსტუმრებულებს საჩუქარიც გამოატანა — ვისაც ტყუპი ეყოლება, წელიწადის რომელი დროც არ უნდა იყოს, ოთხივეს დაუპატიჟებლად შეუძლიათ მობრძანდნენ „მეტროპოლში“, როგორც საკუთარ სახლში.

ქართველები რა ქართველები იქნებოდნენ, ვალში რომ დარჩენილიყვნენ — წამოსვლის წინა ღამეს ყველა წყვილი თავისთან მიიწვიეს ნომერში, ქართული მზეცხებული ღვინითა და კონიაკით გაუმასპინძლდნენ, თან საქართველოდან წამოღებული სუვენირები უსახსოვრეს ყველას უკლებლივ.


მეგობრობა გრძელდება!

ნადია მეგალიშვილი









კოოპერატორთა ზეიმი

„...თუ არ იქნება კოოპერაციული ორგანიზაციების ძლევი, ისე შეუძლებელია სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაცია...“

ვ. ი. ლენინი.

ივლისს კაცობრიობამ ორმოცდამეათედ აღნიშნა კოოპერატორთა საერთაშორისო დღე. იუბილარმა, რომლის რიგებში მსოფლიოს მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტია გაერთიანებული, კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ იგი მშრომელი ადამიანების კეთილდღეობისათვის იბრძვის. რა თქმა უნდა, ზეიმმა ჩვენი დიადი სამშობლოს მთა-ბარიც მოიარა. საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაცია ეხლა ერთ-ერთი უდიდესი საზოგადოებრივ-მასობრივი და საიმედო ორგანიზაციაა მსოფლიოში. იგი ვითარდებოდა, სრულყოფილი ხდებოდა სოციალისტური ეკონომიკის ზრდასთან, საზოგადოებრივ ურთიერთობასთან და ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებასთან ერთად.

კოოპერაციას, საბჭოეთმა მეტად მკვიდრეობით რომ მიიღო, დიდი ლენინი იმ აპარატთა რიცხვს მიაკუთვნებდა, რომლებიც აუცილებლად უნდა შეგვესწავლა და გამოგვეყენებინა. და აი, საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციაში გაერთიანებულია 60 მილიონზე მეტი კაცი, ხოლო ქვეყნის საქონელბრუნვაში კოოპერაციულ ვაჭრობაზე 30 პროცენტი მოდის.

საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეაქვთ ქართველ კოოპერატორებსაც. სანამ ჩვენი საქმიანობის დღევანდელ დღეზე ვისაუბრებდეთ, რამდენსამე ისტორიულ ფაქტს შეგახსენებთ: მომხმარებელთა საზოგადოებამ, რომელიც ინგლისში 1844 წელს შეიქმნა, საქართველომდე მოსვლას 25 წელიწადი მოანდომა. მისი დაარსების ინიციატორები ჩვენში მუშები იყვნენ. თავიდან არც ისე ურიგოდ აწუოობილი საქმე 1921 წლისათვის კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა... მაგრამ საბჭოთა რუსეთმა გამარჯვების პირველი დღეებიდანვე დახმარების ხელი გაუწოდა ქართველ კოოპერატორებს: მათ უსასყიდლოდ მიიღეს 100 ათასი მანეთის მანუფაქტურა, ხოლო სესხად 57 ათასი მანეთი ოქროთი. მათვე გადაეცათ 80 ათას მანეთად ღირებული გემი, რომელსაც „საქართველოს კოოპერაცია“ ეწოდა. იმ დღიდან მოყოლებული, როგორც იტყვიან, ჩარხი აღმა დატრიალდა. საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოებრიობის კავშირში ამჟამად 1.200 ათასი კაცი არის გაერთიანებული. რესპუბლიკის უველა ქალაქი, უველა სოფელი მოფენილია სავაჭრო ცენტრებით, უნივერმაღებით, სასურსათო მაღაზიებით, რესტორნებით, კაფეებითა და სასაუზმეებით... თუ ადრე ჩვენი ვაჭრობის ძირითადი საგანი ნავთი, მარილი, საპონი და ასანთი იყო, დღეს მომხმარებელს ვაწვდით მსუბუქ ავტომანქანებს, ტელევიზორებს, მაცივრებს, კომფორტულ ავეჯს. მარტო შარშან მოსახლეობას 800 მილიონი მანეთის საქონელი მივუყიდეთ, ეს კი ბევრად მეტია, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. თავდადებული შრომა ფაქტებშიც აისახა — მერვე ხუთწლედის ოცი კვარტალიდან ქართველი კოოპერატორები თვრამეტში უპირველესის სახელს ატარებდნენ. ჩვენში მსგავსი წარმატებისათვის არავის მიუღწევია.

წარმატებები კოოპერაციის სამსახურში ჩამდგარი ადამიანების კეთილსინდისიერი, ინიციატივიანი შრომის შედეგია, რომელთაგან გიორგი ხუციშვილი, არჩილ ჩახვაშვილი, გარეგინ ვანიევი, სტეფანე მოსესიანი — სოციალისტური შრომის გმირის საპატიო სახელს ატარებენ. ჩვენი რიგები ყოველწლიურად ივსება უმაღლესი და ტექნიკური განათლების მქონე ახალგაზრდებით, ეროვნული კადრების სამჭედლოა თბილისისა და ქუთაისის კოოპერაციული ტექნიკუმები, მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის დაუსწრებელი განყოფილება.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის ძირითადი დევიზია — უველაფერი ადამიანის ბედნიერებას უნდა ემსახურებოდეს. ეს დევიზი კოოპერაციის მუშაკებსაც ბევრს ავალებს. დღე არ გავა, რომ ხალხის სამსახურში რაიმე ახალი ობიექტი არ ჩადგეს. სულ ცოტა ხნის წინათ სავაჭრო ცენტრები გაიხსნა ბოლნისში, მარნეულში, ფასანაურში, ქვემო ალვანსა და ორჯონიკიძეში. მიმდინარე ხუთწლედში კი ცეკავშირი ააშენებს 1.000 ახალ მაღაზიას, 640 რესტორანს, კაფესა და სასადილოს... დაინერგება ვაჭრობის უველაზე თანამედროვე, პროგრესული მეთოდები.

ჭართველი კოოპერატორები ხშირად მასპინძლობენ უცხოეთიდან ჩამოსულ კოლეგებს. ჩვენს მიღწევებს დიდი შეფასება მისცეს საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ისლანდიიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ბულგარეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. სულ ეხლახან პარიზიდან საფრანგეთის კოოპერაციული დაზღვევის საზოგადოების პრეზიდენტი ბატონი მარსელ გასტალის წერილი მივიღეთ. იგი მადლობას გვიძღვნის გაწეული მასპინძლობისათვის და აღნიშნავს, თქვენი კოოპერატორების შრომა ქების ღირსი და უველასათვის სამაგალითოაო.

სხვათა გამოცდილებებს ჩვენც დიდი ინტერესით ვეცნობით, ვმონაწილეობთ კოოპერატორთა საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში...



ქართველ კოოპერატორებს, ისე როგორც უველა ქვეყნის კოოპერაციული ორგანიზაციების მილიონობით წევრს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, კოოპერაციული მოძრაობის ერთიანობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის, უანგაროდ ემსახურონ ადამიანთა ბედნიერებას.

ნიკოლოზ ჯავახიძე,
ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

• • •

ხურათებზე: ზემოდან — ცეკავშირის ახალი შენობა; საქართველო მასპინძლობს საფრანგეთიდან ჩამოსულ სტუმრებს, მარჯვნიდან — მარსელ გასტალი, მორის კუვრესელი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჯავახიძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ქებაძე; თბილისის კოოპერაჭრობის ახალი მაღაზია; რესტორანი „ნაკადული“ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში; ქუთაისის სასურსათო კომბინატის ცეკავშირის თვითმოქმედი ანსამბლის წევრები.



თევზი მოახვავეს...



სათევზაოდ გასწიეს... გემმაც და თოლიებმაც!





ერთი უკეთესთაგანი მებადური ჯავანდი გოგებაშვილი.

გაგრელი თევზის ოსტატი ლერა ზოიძე.

მებადურთა საქმეები

საქართველო მდინარეებით დასერილი ქვეყანაა. თითოეული მდინარე კი თავისი თევზით არის განთქმული. მებადურობას ჩვენში ძველთაძველი ეშხი და ლაზათი აქვს, ამიტომაც ვინ მოთვლის რამდენი უავტორო თუ ავტორიანი სიმღერა, ლექსი თუ თქმულება შემოუნახავთ ქართველებს თევზსა და მეთევზეზე, ბადესა და ნავზე თუ ტივზე. საუკუნეებიდან საუკუნეებში ქართველ მებადურთა სხვადასხვა თაობები სისხამ დილით ბადით ხელში ჩადიოდნენ მტკვარში და რიონში, ალაზანში და იორში, ხრამში და არაგვში, იჭერდნენ კალმახსა და ორაგულს, ცოცხალსა და ხრამულს. მადლიანი წყლით დაუვებული მეთევზეები ნაცნობებისა თუ უცნობების სუფრას გულუხვად გადაუშლიდნენ ხოლმე ჯერ კიდევ მოფრთხიალე თევზებს.

დღეს ქართველ მებადურთა ასპარეზი ერთობ დიდია. ჩვენი თევზსაჭერი გემები სერავენ ზღვებსა და ოკეანეებს. თევზის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის აიგო თევზის ხელოვნური ტბები. მეთევზეობა ჩვენში სპორტულ-გასართობ საქმიანობასთან ერთად სახალხო მეურნეობის ერთი ღირსშესანიშნავი დარგია. ჩვენი ქვეყნის ათასობით ადამიანი შრომობს ჩვენი სუფრის დასამშვენებლად და მაშვრალებს აქვთ თავისი დღესასწაული — მებადურის დღე, რომელიც ყოველწლიურად ივლისის თვის მეორე კვირა დღეს აღინიშნება ხოლმე.

სახელოვნად ეგებებიან ქართველი მებადურები თავიანთ დღეს.

საბჭოთა კავშირის შექმნის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საიუბილეო შეჯიბრებაში საქართველოს თევზის მრეწველობის სამმართველომ ახალი წარმატება მოიპოვა, პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა 110 პროცენტით შესრულა და გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 64 ათასი მანეთის თევზის პროდუქცია მიართვა.

ჩვენს დიად ქვეყანაში მეცხრე ხუთწლედი საპატიო ამოცანას უსახავს მებადურებს: თევზის მომარაგება ერთ სულ მოსახლეზე 20-22 კილოგრამით გადიდდება. ამასთან ისეთი უმნიშვნელოვანესი ასორტიმენტის გამოშვება, როგორიც არის ცოცხალი, შებოლილი და გაყინული თევზი, ოთხნახევარჯერ გადიდდება. დაკონსერვებული თევზის გამოშვების ზრდა გათვალისწინებულია ძირითადად თევზბოსტნეული ნატურალური კონსერვების ხარჯზე, რასაც ფართოდ იყენებს მოსახლეობა.

რესპუბლიკის თევზის მრეწველობა, რომელიც წარსულში ჩამორჩენილი, კუსტარული იყო, დღეს თანამედროვე სამრეწველო ლიანდაგზეა გადაყვანილი.

ჩვენი რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების ღონისძიებებით წარმოებაში დანერგილია თევზის გასაყინი ახალი დეფროსტერი, ზეთჩასასხმელი მანქანა და ბევრი სხვა სიახლე. რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, მშობლიური ნაპირებიდან შორს შრომობენ ჭართველი მებადურები. არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, კარგ მაჩვენებლებს მიაღწია საოკეანო თევზჭერის ფლოტმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრაულერ „ბათუმის“ წარმატება, რომელმაც 125,6 პროცენტით შეასრულა სახელმწიფო გეგმა.

მიმდინარე ხუთწლედში ძირითადი ყურადღება ეთმობა ფართო ასორტიმენტისა და კარგი ხარისხის თევზპროდუქციის წარმოების მკვეთრად ამაღლებას. თევზჭერის ზრდას განაპირობებს სარეწი ფლოტის უკეთ გამოყენება, შიდა და ბუნებრივი წყალსატევების, ხელოვნური ტბორების პროდუქტიულობის გადიდება, საქართველოს სატბორე მეურნეობათა ქსელის გაფართოება.

საწარმოო კოლექტივები და საოკეანო თევზჭერის ეკიპაჟები დიდ ყურადღებას აქცევენ წარმოების ტექნიკური დონის, ტექნიანობის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, თევზჭერის იარაღისა და საშუალებების შემდგომ სრულყოფას, თევზსარეწი წარმოების ეკონომიკის განმტკიცებას.

წარმატება მოიპოვეს მეთევზეობის კოლმეურნეობებმაც. წლეულს განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწია ბათუმის კოლმეურნეობამ, რომელმაც სახელმწიფოს 41.300 ცენტნერი თევზი ჩააბარა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 36 ათასი ცენტნერისა. ამ მეურნეობას პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით საბჭოთა კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსა და კავშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა მიენიჭა, ხოლო მთავარმა სამმართველომ ფულადი პრემიებით დააჯილდოვა 99, 112, და 211 სეინერების ეკიპაჟები.

თევზჭერასთან ერთად იზრდება მებადურთა შრომის ანაზღაურება. მაგალითად, შარშან თითოეულმა მეთევზემ 1.705 მანეთი მიიღო.

დღეს საქართველოში 4 თევზსაშენი ჭარხანა მუშაობს, საიდანაც ტბებსა და წყალსატევებში ყოველწლიურად ვუშვებთ დაახლოებით 10 მილიონ ძვირფასი ჯიშის ისეთ ლიფსიტას, როგორიც არის კალმახი, სიგი, კობრი და ხრამული. ჩვენი რესპუბლიკის პირობები საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო გავაფართოვოთ სატბორო მეურნეობა. მეცხრე ხუთწლედში ახალი სატბორო მეურნეობები გაშენდება საგარეჯოს, ცხაკაიას, ახმეტის, ლანჩხუთის და სხვა რაიონებში. ტბორების საერთო ფართობი 2 ათას ჰექტარამდე გაიზრდება, რაც საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად ვაწარმოოთ 15 ათასი ცენტნერი თევზი და 1975 წელს ერთიორად გავზარდოთ მისი მოპოვება.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მომხმარებელს გემრიელი თევზი და უუთანიანი თევზპროდუქტები მივაწოდოთ, რომ პროდუქტებმა შეინარჩუნონ თავიანთი საგემოვნო თვისებები.

ქართველი მებადურები და მშენებლები უთუოდ შეასრულებენ იმ კეთილშობილურ ამოცანებს, რითაც ქართველ მებადურთა ნახელავი ყოველთვის სამშვენისი იქნება ჩვენი სუფრის.

ბიჭიკო უთმელიძე,
საქართველოს სსრ თევზის მრეწველობის სამმართველოს უფროსი.

სისხამ დილით, ბადით ხელში...

ფრანცისკო-მარია მაჯო და მისი ქართული ენის გრამატიკა

ქართულ-იტალიური კულტურის ურთიერთობის ისტორიაში ფრანცისკო-მარია მაჯოს შემოქმედება მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს. საქართველოში იგი მე-17 საუკუნის 30-იან წლებში ჩამოვიდა როგორც კათოლიკე-მისიონერი და აქ რვა წელიწადი გაატარა.

როგორც ცნობილია, მე-17 საუკუნეში განსაკუთრებით გაძლიერდა კათოლიკური ეკლესიის მისიონერთა მოღვაწეობა. წინა საუკუნეში პროტესტანტიზმის ზრდით შეშინებულმა რომის ეკლესიამ აქტიური მოქმედება დაიწყო და სამონასტრო ორდენების წარმომადგენლები დედამიწის სხვადასხვა კუთხეში დაგზავნა კათოლიციზმის გასავრცელებლად.

მე-17 საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში გამოგზავნეს თეატინელების ორდენის ბერები. სწორედ ამ ორდენს განეკუთვნებოდა იტალიელი ფრანცისკო-მარია მაჯო.

მაჯო (1612-1686) წარმოშობით პალერმოდან იყო. მისი ბიოგრაფიიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოგზაურობა აღმოსავლეთში, სადაც მან ოც წელიწადზე მეტი გაატარა: იყო სირიაში, ირანში, თურქეთში, ხომხეთში, საქართველოსა და სხვა ქვეყნებში.

უყველაზე დიდხანს მაჯომ საქართველოში იცხოვრა. იტალიაში დაბრუნების შემდეგ კვლავ განაგრძო თავისი სასულიერო მოღვაწეობა, დაწერა რამდენიმე რელიგიური და სამეცნიერო შრომა.

მის შრომებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „ნაშრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეებში იხმარება (ისმის)“. ამ ნაშრომის პირველი და უყველაზე დიდი ნაწილი ეძღვნება ქართულ გრამატიკას. წიგნი დაისტამბა რომში 1643 წელს და განმეორებით გამოიცა 1670 წელს.

მაჯოს ინტერესი ქართული ენისადმი შემთხვევითი როდი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ მისიონერთა ფილოლოგიური საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათ მოღვაწეობასთან. მისიონერებს ინტერესი არ გამოუჩენიათ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა თუ საერო ლიტერატურული ძეგლებისადმი, სამაგიეროდ რომში აგზავნიდნენ დაწვრილებით მოხსენებით ბარათებს თავიანთი მისიონური მოღვაწეობის შესახებ; ამის გარდა, გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალს საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებს და ეკონომიურ მდგომარეობას, ხოლო ზოგიერთმა მისიონერმა შეადგინა ევროპელი მკითხველისათვის მეტად ძვირფასი და საინტერესო აღწერილობანი ამ ქვეყნისა.

მისიონერთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო ქართული ენის შესწავლა, რადგან მათ საქმიანობაში წარმატებისათვის საჭირო იყო მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარება მშობლიურ ენაზე.

ჯერ კიდევ 1629 წელს რომში გამოიცა ქართული ენის ანბანი და ქართულ-იტალიური ლექსიკონი, მაგრამ ენის შესასწავლად აუცილებელი იყო გრამატიკის სახელმძღვანელოც.

მაჯომ შეავსო ეს ხარვეზი. მისი გრამატიკა ლათინურ ენაზეა დაწერილი და ოთხი ნაწილისაგან შედგება: ორთოგრაფია, ეტიმოლოგია, სინტაქსი, პროსოდია. დანართად ერთად ქართული გრამატიკა 148 გვერდს მოიცავს.

მაჯომ უეჭველად დიდი შრომა გასწია, შეეცადა გარკვეულიყო ქართული ენის თავისებურებებში და მოეყვანა იგი ერთგვარ სისტემაში. მისი გრამატიკა აგებულია ზუსტი გეგმით და ეხება ენის ძირითად მოვლენებს. როგორც იმხანად იყო მიღებული, თავის შრომას მაჯომ საფუძვლად დაუდო ლათინური გრამატიკა, რომელიც ითვლებოდა დასაყრდენად და სავალდებულოდ უყველა ენისათვის. ენისადმი ამგვარი მიდგომის მეთოდი, რასაკვირველია, ძალზე ხელოვნური იყო, რადგან ავტორი ცდილობდა ქართული ენის დამახასიათებელი მოვლენები აეხსნა დადგენილი გრამატიკული ნორმების საშუალებით. მაგალითად, ბრუნების სისტემა, რომელიც მოცემულია ლათინური გრამატიკის მიხედვით, არ გადმოგვცემს ქართული ენის უყველა თავისებურებას, კერძოდ, არა აქვს მოთხრობითი ბრუნვა.

ამის გარდა, ქართული ენის იმ მოვლენებს, რომლებიც უცხოა ლათინური გრამატიკისათვის, ავტორი მიიჩნევს არასწორ ფორმებად. იგი ვერ გაერკვა ქართული ზმნის რთულ ბუნებაში და დაასკვნა, თითქოს ქართულ ენას აქვს უამრავი უღლილება, რადგან თითქმის უყველა ზმნა თავისებურებით და მოირჩევაო. ავტორი კმაყოფილდება მხოლოდ ცალკეული დროისა და ზმნის სახეობაზე დაკვირვებით. ამის შედეგად ეს ნაწილი წიგნში ერთ-ერთი უყველაზე სუსტი ადგილია.

ქართული ენის მაგალითები, რომელიც მოყვანილია წიგნში, დაწერილია ქართული და ლათინური ასოებით. მაგრამ ქართულ ტექსტში ძალზე ბევრია შეცდომები. როგორც ჩანს, ავტორი ვერ ერკვეოდა ქართული ბეჭდების თავისებურებაში, ამიტომ მას უწერია „ბიჩი“, „კალი“, „წიცა“, „სოლი“ ნაცვლად ბიჭისა, ჭალისა, ძიძისა და ცოლისა.

ქართული სიტყვების უსწორო ფორმები, გამოტოვებული ასოები ან არასწორად დაწერილი სიტყვები გვაფიქრებს, რომ მაჯომ სათანადოდ არ იცოდა ქართული ენა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი, რომელიც თავის ნაშრომს ქართული ხალხური ენის გრამატიკას უწოდებს, ამავე დროს მიუთითებს, რომ იგი დაფუძნებულია წერილობით წყაროებზეც, ქართულ ხელნაწერ წიგნებზე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მაჯო თავის მუშაობის პერიოდში გაეცნო ქართული დამწერლობის ზოგიერთ ძეგლს.

შეცდომებთან ერთად მაჯოს გრამატიკა ბევრ საინტერესო და მართებულ შენიშვნასაც შეიცავს ქართულ ენაზე. ამაზე მიუთითებენ სპეციალისტი-ქართველოლოგები. პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი თავის ნაშრომში „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ“ (1873 წელი) დადებითად აფასებდა მაჯოს შენიშვნებს სიტყვათწარმოებასთან დაკავშირებით და ავტორს მიიჩნევდა ფრიად დაკვირვებულ და ნიჭიერ ლინგვისტად.

მაჯოს გრამატიკის უყველაზე დაწვრილებითი განხილვა მოცემული აქვს აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას თავის წიგნში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ (1965 წელი). აქ თანმიმდევრულად არის განხილული შრომის უყველა თავი, გაანალიზებულია როგორც მისი ძირითადი პრინციპები, ისე ცალკეული საკითხები. შრომის სუსტ მხარეებზე მსჯელობასთან ერთად არნოლდ ჩიქობავა მიუთითებს მაჯოს დამსახურებაზეც, საკუთრივ ქართული ენის გრამატიკის იმ საკითხებზე, რომლებშიც მართებულად გაერკვა უცხოელი მკვლევარი.

ამუამად მაჯოს გრამატიკას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თავის დროზე იგი ძალზე დიდი მოვლენა იყო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს იყო ქართული ენის პირველი გრამატიკა, თანაც შედგენილი საკმაოდ მწყობრად, რომ ეს ნაშრომი გამოიცა ნაბეჭდი წიგნის სახით და ისიც ორჯერ. თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ეს შრომა დასავლეთში ქართული ენის ერთადერთი გრამატიკული სახელმძღვანელო იყო და ჩვენი ენით დაინტერესებული უყველა მეცნიერი მისით ხელმძღვანელობდა. ამონაწერები მაჯოს წიგნიდან გვხვდება მე-18 საუკუნის სხვადასხვა ქვეყნის აღმოსავლეთმცოდნეთა და ლინგვისტთა შრომებში, მათ შორის მოსახსენებელია ინგლისელი ტომას ჰაიდი, ესპანელი ლორენცო ერვასი, ფრანგი ანკეტილ-დიუპერონი; გერმანელები რიუდიგერი, ადელუნგი და სხვები. როცა მე-19 საუკუნის დასაწყისში მარი ბროსე ქართული ენის შესწავლას შეუდგა, იგი პირველ რიგში გულდასმით გაეცნო იტალიელი მისიონერის გრამატიკას.

მხოლოდ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, თვით მარი ბროსეს შრომების გამოქვეყნების შემდეგ, ევროპელ ენათმეცნიერებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ქართული ენის გრამატიკას ახალი და უფრო სწორი წყაროების საფუძველზე.

მაჯოს ნაშრომი ეხლა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. გრამატიკის მეორე გამოცემის რამდენიმე ეგზემპლარი თბილისში ინახება კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში.

ნატალია ორლოვსკაია,
პროფესორი.

ქართული ეკლესიის ზეიმი



სურათზე: უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დავით V.

□ □

შაბათს, პირველ ივლისს, დღის 12 საათზე, სიონის საკათედრო ტაძარში გაიმართა სრულიად საქართველოს მორიგი XI საეკლესიო კრება. კრებას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესი ურბნელი მიტროპოლიტი დავითი, ჭუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი რომანოზი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, თეთრწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი გაიოზ წილკნელი, საქართველოს ყველა ეპარქიიდან არჩეული სასულიერო და საერო დელეგატები.

კრების საპატიო სტუმრები ბრძანდებოდნენ: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით — რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მუდმივი წევრი, მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი, ტალინისა და ესტონეთის მიტროპოლიტი ალექსი, ვლადიმირისა და სუზდალის ეპისკოპოსი ნიკოლოზი, დეკანოზი არკადი სტანკო. სომხეთის სამოციქულო ეკლესიიდან: უმაღლესი პატრიარქი და უწმიდესი კათალიკოსი ყოველთა სომეხთა ვაზრგენ I, საქართველოში მცხოვრებ სომეხთა მთავარეპისკოპოსი კომიტასი, არქიმანდრიტი ნარეკი.

გადახდილ იქნა მცირე პარაკლისი. გალობდნენ დიდებისა და სიონის ეკლესიების მგალობელთა გუნდები.

კრების საგანი იყო ახალი კათალიკოს-პატრიარქის არჩევა და მიმდინარე საკითხები.

კრება გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა მოსაყდრე მიტროპოლიტმა დავით ურბნელმა. მან აღნიშნა, რომ: „საქართველოს სამოციქულო ეკლესია თავისი არსებობის პირველ საუკუნიდანვე ვიდრე დღევანდლამდე ყოველთვის იღწვოდა და ლოცვითა და საქმით უანგაროდ, საკუთარი წვლილი შეჰქონდა ყველა დროისათვის ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხის — მშვიდობის საკითხის მოწესრიგებაში. ამ მხრივ ქართულ ეკლესიას ყოველთვის აქტიური ფრთა ეკავა და არც შეიძლება მას ამ საკითხისთვის ოდესმე გვერდი აევლო ან სხვა თვალით შეეხედა და სხვა აზრი ჰქონებოდა მასზე...“

კათალიკოსის მოსაყდრის, მიტროპოლიტ დავით ურბნელის წინადადებით კრების მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს გარდაცვლილ პატრიარქთა ხსოვნას და უგალობეს საუკუნო ხსენება.

მიტროპოლიტმა ალექსიმ წაიკითხა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პიმენის მისალმება საქართველოს XI საეკლესიო კრებისადმი. ქორეპისკოპოსმა გაიოზ წილკნელმა წაიკითხა დეკლარაცია საქართველოს მინისტრთა საბჭოსადმი. მასში ნათქვამია: „სრულიად საქართველოს XI საეკლესიო კრება, მიესალმება რა საქართველოს ღვთივდაცულ მთავრობას, თავის საღმრთო მოვალეობად ჰრაცხს და მოუწოდებს ივერიის საკათალიკოსო ეკლესიის ძეთა და ასულთ, რათა „ყოველითა სულითა და ყოველითა გონებითა“ შეჰსთხოვოთ ყოველისმპყრობელ შემოქმედს მისი მრავალჟამიერი ცხოვრება და „სიმტკიცე სუფევისა მისისა“, მრავალსაუკუნოვანი ქართველი ხალხის კვლავად ახალ-ახალი წარმატებების საფინდრად...“

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ კრების მონაწილეთ გააცნო საქართველოს ეკლესიის უწმიდესი სინოდის განჩინება მოსაყდრე ურბნელი მიტროპოლიტი დავითის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად ერთადერთ კანდიდატად გამორჩევის შესახებ და შეკრებილთ მოუწოდა ერთსულოვნად მიეცათ ხმა მისთვის.

მიტროპოლიტ დავით ურბნელის ბიოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე დამსწრეთ წაუკითხეს მღვდელმა დავით ფიფიამ და დეკანოზმა მიხეილ დიდენკომ.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე დავით მიტროპოლიტი ურბნისისა (ერისკაცობაში ხარიტონ ჯიბოს ძე დევდარიანი), დაიბადა 1903 წლის 24 მარტს (ძველი სტილით) ხარაგოულის რაიონის სოფელ მიროწმიდაში. სოფელ სარგვეშის არასრული საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1917 წელს სასულიერო განათლების მისაღებად სწავლა განაგრძო ჭითურის მღვიმევის დედათა მონასტერში. 24 წლისას საჩხერის ფერიცვალების საკათედრო ტაძარში მარგველმა მიტროპოლიტმა ვარლამმა ხელი დაასხა მთავარდიაკვნად, მეორე დღეს კი მღვდლად და განწესდა სარგვეშის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად. 1928 წელს არჩეულ და დანიშნულ იქნა ხარაგოულის მთავარეპისკოპოსად. 1930 წლიდან სამსახური უხდებოდა სიონის საპატრიარქო ტაძარში, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში, წმიდა ნინოს ეკლესიაში... 1956 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-ემ მოუწოდა მიეღო მადლი მღვდელმთავრობისა და იგი აღიკვეცა ბერად. ამავე წელს აღყვანილ იქმნა არქიმანდრიტის პატივში, ხოლო ღვთისმშობლის მიძინების დღეს, სიონობას, სიონის საპატრიარქო ტაძარში ხელდასმულ იქმნა ეპისკოპოსად და ჩაბარდა მარგვეთისა და ურბნისის ეპარქია. 1959 წელს იგი დაინიშნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად და მის გამგებლობაში შევიდა მანგლისის ეპარქიაც.

1960 წელს, კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის გარდაცვალების შემდეგ, მისივე წერილობითი ანდერძით, იგი დატვირთულ იქმნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ, რაზედაც თავისი ღრმა სარწმუნოებისა და თავმდაბლობის გამო იმხანად უარი განაცხადა და ქიროტონიით თავისზე უხუცეს მიტროპოლიტ ეფრემს დაუთმო.

მაღალმეუფე დავით მიტროპოლიტის ნაყოფიერი სამსახური ქართულ ეკლესიისადმი ყოველთვის მაღალ შეფასებას იღებდა, რაც მრავალი ჯილდოთი აღნიშნულა. 1959 წელს მელქისედეკ III-ემ დააჯილდოვა უმაღლესი საეკლესიო ჯილდოთი — სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარებას უფლებით, რაც ქართული ეკლესიის ცხოვრებაში იშვიათი მოვლენაა. 1962 წელს ეპოძა მიტროპოლიტის პატივი. 1963 წელს დაჯილდოვდა წმიდა ნინოს II ხარისხის სამღვდელმთავრო ორდენით, 1965 წელს წმიდამთავარმოწამე გიორგის პირველი ხარისხის ორდენით, ხოლო 1970 წელს — მეორე პანაღიით.

კრებამ, კანდიდატის ბიოგრაფიული მონაცემების გაცნობის შემდეგ, აირჩია და დაამტკიცა ხმისდამთვლელი კომისია. ფარული კენჭისყრის შედეგად მიტროპოლიტი დავით ურბნელი ერთხმად არის არჩეული მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად.

დაინიშნა ინტრონიზაციის დრო და ადგილი — მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი, კვირა, 2 ივლისი, ღვის 11 საათი.

კვირას, 2 ივლისს, დღის 11 საათზე, მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, გაიმართა ინტრონიზაცია ახლადარჩეული კათალიკოს-პატრიარქისა. სწირავდნენ თვით კათალიკოს-პატრიარქი დავით V, მიტროპოლიტები ალექსი, ილია, რომანოზი, ზინობი, ეპისკოპოსები ნიკოლოზი, გაიოზი. მღვდელმთავრებს ემსახურებოდნენ მცხეთის სასულიერო სემინარიის მსმენელები.

წირვის დროს საპატიო ადგილზე ბრძანდებოდა უმაღლესი პატრიარქი და უწმიდესი კათალიკოსი ყოველთა სომეხთა ვაზგენ I.

მიტროპოლიტმა ილიამ, მიტროპოლიტმა რომანოზმა და ეპისკოპოსმა გაიოზმა წაიკითხეს კურთხევის სამი ლიტვა.

უწმიდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს მიესალმნენ მიტროპოლიტი ალექსი, კათალიკოსი ვაზგენ I, მიტროპოლიტი ილია, ეპისკოპოსი გაიოზი.

წირვის დასასრულ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა დავით V-მ დალოცა და აკურთხა დამსწრე საზოგადოება და წარმოთქვა სამადლობელო სიტყვა.

წირვის შემდეგ წინადაგებულ იქმნა საზეიმო სადილი სასტუმრო „ივერიის“ დარბაზში.

სიტყვები წარმოთქვეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა დავით V-ემ, მიტროპოლიტმა ალექსიმ, კათალიკოს ვაზგენ I-მა, მიტროპოლიტმა ილიამ, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა, ქორეპისკოპოსმა გაიოზ წილკნელმა, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა საქართველოს სს რესპუბლიკაში დიმიტრი შალუტაშვილმა და სხვებმა.

კათალიკოს-პატრიარქმა მიიღო მისალოცი დეპეშები მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ პიმენისა, კრუტიცკისა და კოლომენსკის მიტროპოლიტ სერაფიმისა, ტულისა და ბელევის არქიეპისკოპოს იუვენალისა, ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტ ნიკოდიმისა, მოსკოვის სასულიერო აკადემიისა და სემინარის რექტორის, მთავარეპისკოპოს ფილარეტისა, რიგისა და ლატვიის მთავარეპისკოპოს ლეონიდისა, ეპისკოპოს ქროზოსტომისა და სხვათა.

ლია მიქაძე

სპორტის ჭიდაობის ტრფიალი

ქართულ ჭიდაობას ახსოვს გარდასულ დღეთა გაუბუნარი ცხოვრება. მისი ფურცლები იტევს საჭიდაო არენას და ლამაზად ჩატარებულ ილეთს, გამარჯვებული ფალავნის ჰაერში ატაცებულ მარჯვენასა და დამარცხებული მეტოქის ნისლჩამდგარ თვალებს...

ჩვენი დროის ადამიანებს უნახავთ არსენ მეკოკშვილის, გივი ქარტოზიას, ვახტანგ ბალავაძის, დავით ციმაკურიძის, გიორგი სხირტლაძისა და სხვათა განუმეორებელი ჭიდაობა. თამბებმა შემოგვინახეს ლეგენდები ბეჭდაუდებელ ფალავნებზე — დავით ხიზამბარელზე, კულა გლდანელზე, სანდრო ქანდელაკზე, კოსტა მაისურაძეზე, შაშო ვერელზე, მიხაკო ქურხულზე...

ხანდაზმულები გვიამბობენ გოგლა რამაზაშვილის, არტაზ ბერიაშვილის, ნიკა გეჯაძის, ნიკოლოზ პაპიაშვილის, ვანო ქამხაძის სპორტულ ცხოვრებაზე. მათ შორის გვესმის ქართული ჭიდაობის ვეტერანის, რესპუბლიკის კატეგორიის მსაჯის, სპორტის ოსტატ ვლადიმერ გოგიბედაშვილის სახელი.

გზები ადამიანის ცხოვრებას ჰგავს. იწყებიან და მთავრდებიან. არის ერთი გზა თეძამის ხეობაში, დაწყებული შარაგზებად და შუკებად. ისინი ცხოვრობენ, ფიქრობენ, სუნთქავენ ისევე, როგორც ეს სოფლები, რომლებსაც სამარადჟამოდ დაკავშირებიან. ერთიც თეძამს კვეთს და ლამაზ სოფელში მიდის. საქართველოს რუკაზე თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზეა მონიშნული და ზემო ხანდაკად იწოდება.

ცხოვრობს ეს არც ისე პატარა სოფელი, განთქმული ზვრებითა და ამწვანებული ჭალებით, მშრომელი ადამიანებითა და ბაღით საქმეებით... ამ სოფელში დაიბადა ლადო გოგიბედაშვილი.

ჭიდაობის ტრფიალი ბავშვობიდან მოსდევს. პირველი გაუბედავი ილეთები თავისი სოფლის საჭიდაო არენაზე იღონა. 1921 წლიდან თბილისში. ცდის ბედს... 1931 წელს ეფიმოვისა და ესკოვის ცირკში ჭიდაობს... იყო გამარჯვებული, დამარცხებულის სიმწარეც უგემია.

შრომაში და სპორტის სიყვარულში გადიოდა წლები, მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზეც — სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, რაიმასკომის საფინანსო განყოფილების გამგედ...

და წლებს მაინც თავისი შიაქვთ. შვილმა შეცვალა მამა — ნუგზარ გოგიბედაშვილი ექიმია, თან საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახლავთ თავისუფალ ჭიდაობაში.

ლადო გოგიბედაშვილი კი კვლავაც ჭიდაობით სუნთქავს, — ახალგაზრდებს იკრებს, წვრთნის... გუშინდელი პირტიტველა ბიჭები დღეს სპორტის ოსტატები არიან. ზემო ხანდაკი ათს ითვლის ესეთს. აქაურები სიამაყეს გერა ფარავენ, როცა ახსენებენ კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გიორგი გოგიაშვილს, მასწავლებელს ნიკოლოზ გოგიაშვილს, ალექსანდრე ქერიგიშვილს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ოთარ გოგიბედაშვილს, ოთარ კელაპტრიშვილს, გიორგი ქამხაძეს, თამაზ დავითაშვილს...

დიდი, მეტად დიდი დაფასება იყო სპორტის ენთუზიასტის, ლადო გოგიბედაშვილისათვის 24 ივნისი. ამდენი ცნობილი ადამიანი ერთად არ უნახავთ სოფელში. მოვიდნენ სახელგანთქმული ფალავნები ვახტანგ ბალავაძე, დავით ციმაკურიძე, გიორგი სხირტლაძე, შოთა დაუშვილი, სიმონ მაისურაძე, ვეტერანი ფალავნები კახეთიდან არჩილ ონაშვილი და შალვა გზირიშვილი, სანდრო (ცაცალა) ნაკასაშვილი ხიდისთავიდან, გიორგი ალექსიძე გორიდან, არტამ ბერიაშვილი ყარაღაჯიდან... აქ არიან ქართლში დაფრთიანებული ძმები ნინიაშვილები, ლავრენტი კაციაშვილი, საქართველოს ჩემპიონები გრიგოლ ხუციშვილი, ჯემალ გუთნიაშვილი, შოთა გულიაშვილი... სტუმრებს შორის ვხედავთ ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის შვილებს, პროფესორ გაიოზ იმედაშვილს, ექიმ ფარნაოზ იმედაშვილს, მწერალ ელიზბარ გაისურაძეს.. მოვიდნენ კასპის, მცხეთის, ქარელის წარმომადგენლები, პრესის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკები... მოვიდნენ, რათა ლადო გოგიბედაშვილისათვის მიელოცათ დაბადების 70 და სპორტული ცხოვრების 50 წელი.

საჭიდაო არენა ზემო ხანდაკის საშუალო სკოლის ეზოში რომ მოეწყოთ, სტუმარ-მასპინძლებს ვეღარ იტევდა. შეხვედრა გახსნა კასპის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ გივი კაკაჩეიშვილმა. ლადო გოგიბედაშვილის სპორტულ ცხოვრებაზე ისაუბრა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ხორგუაშვილმა.

სიტყვას ამბობს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მსოფლიოს ორგზის და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ვახტანგ ბალავაძე, რომელმაც იუბილარს გადასცა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სიგელი და სამახსოვრო თასი.

იუბილარს ესალმებიან მწერალი ელიზბარ მაისურაძე, თვითნასწავლი მხატვარი დავით ნაროზაშვილი, ქართული ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე ვახტანგ ქარუმიძე, ზემო ხანდაკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შოთა გოგიაშვილი, ახალგაზრდა სპორტსმენები.

მადლობას უხდის ლადო გოგიბედაშვილი მისი ამგის დამფასებლებს, ქართველ მამულიშვილებს, სპორტსმენებს...

მერე კი ჩაბერეს ზურნა, გახურდა დოლი, ჩოხები ჩაიცვეს ჭაბუკებმა და ვეტერანებმა.

არენაზე ცეკვით შემოდის ვეტერანი მოჭიდავე იოსებ ქამხაძე. აგერ მეტოქეც — ვასილ ფიქრიშვილი. ორთავეს ჟამი დასწოლიათ ბჭრებზე, მაგრამ მაინც ჭაბუკური აღტკინებით ტრიალებენ წრეში...

ვეტერანებს ახალგაზრდები სცვლიან. სოფელი დიდ იმედებს ამყარებს ამირან გერმოზანაშვილზე, იოსებ ფიქრიშვილზე, ელდარ კელაპტრიშვილზე... ისინიც ერკინებიან ხოვლელებს, ყარაღაჯელებს, მეტეხელებს, დოესელებს...

ვინ-ვის! მსაჯობს ქიტო ნინიაშვილი, ვეტერანები იწონებენ მოჭიდავეთა ილეთებს...


მერე კი სტუმრები მიიღო ჩვენი მასპინძლის მარანმა.

არა, ქართული მარანი ვის გააოცებს, ოდითგან მოგვდევს მისი მადლი და ბარაქა. მაგრამ ჩვენი ნასპინძლის მარანი მაინც სულ სხვაა, თავისებური მუზეუმია ქვევრებითა და საწნახლით, ჭიხჭილებითა და აზარფეშებით, გიორგი საყაძისეული ყანწითა და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ლანის უთვალავი გამოცემით. უნიკალური საჭიდაო აფიშებით, სპორტული სიგელებით, სტენდებით, საიდანაც გვიღიმიან საქვეყნოდ ცნობილი ფალავნები, რაიონის მოწინავე ადამიანები...

იდგა იმ დღეს ერთი ახოვანი, ქართული ჭიდაობის ტრფიალი კაცი მეზობლებში, მეგობრებში, ფალავნებსა და სპორტის მოყვარულებში, დაფასებული, გახარებული...

დიდხანს მდგარიყავ, ბერმუხავ!

ნორა ედიშერაშვილი



სურათზე: მამაშვილური გზის დალოცვა.

ჩემი გიორგი საყაძე



დაუჯერებელია, რომ ჩვენს შორის აღარ არის აკაკი ხორავა. ძნელი წარმოსადგენია ისიც, თუ ვინ გასწევს ამიერიდან ქართულ თეატრში ხორავობას. მე ჩემი ახალგაზრდობა ქართულ თეატრში გავატარე, თითქმის ყველა დიდი მსახიობის გვერდით ვყოფილვარ, მაგრამ აკაკის დარი შემოქმედი მართლაც არ შემხვედრია. რაოდენ ძნელია დაიჯერო, რომ ცოცხალი აღარ არის აკაკი ხორავა — შექსპირის გმირების უბადლო შემსრულებელი, ახალგაზრდობის პედაგოგი და აღმზრდელი, ჩემი სწორუპოვარი გიორგი საყაძე, ჩემი გიგუა...

მასთან მუშაობა ძალიან ადვილი იყო. ორი სიტყვით ესმოდა ყველაფერი და ასრულებდა კიდეც. და რა კარგია, რომ არსებობს კინო, რადგან ჩვენს მომავალ თაობას შეუძლია ნახოს და დარწმუნდეს, თუ ვინ გვყავდა ჩვენ აკაკი ხორავას სახით. აკაკი იყო ის ბურჯი, რომლის ირგვლივაც ჩამოყალიბდა ახალი დიდი ქართული საბჭოთა თეატრი. უკვე აღარ არის ეს ბუმბერაზი მსახიობი, მაგრამ არსებობს და იარსებებს ქართული თეატრალური ხელოვნება, რომელმაც კვლავაც უნდა შეინარჩუნოს ის დიდი ტრადიციები, ხელიხელისაგოგმანებლად რომ გადმოგვაბარა დიდმა ხელოვანმა.

მიხეილ ჰიაურელი,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

ქართული თეატრის ბერმუხა

დიდი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა საბჭოთა სათეატრო ხელოვნებამ — გარდაიცვალა თანამედროვეობის დიდი მსახიობი აკაკი ხორავა.

ქართული თეატრის ერთ-ერთი ნიშანთვისება ოდითგანვე ხალხთან სიახლოვე იყო. აკაკი ხორავა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა სცენიდან ეთქვა დიდი სიმართლე, გამოეხატა ხალხის მისწრაფება, მისი სულისკვეთება და იგი ყოველთვის ბრწყინვალედ ახერხებდა ამას. ხალხმა სამაგიეროდ თავისი უანგარო, ნაღდი სიყვარულით უპასუხა ამ ჭეშმარიტ სახალხო არტისტს.

აკაკის სიკვდილი განსაკუთრებით მისი მეგობრებისათვის არის მძიმე და გაუაზრველი. აკაკი ხორავა რუსთაველის თეატრის დაარსებისთანავე გავიცანით. მას შემდეგ ჩვენი მეგობრობა არც შეწყვეტილა და არც შენელებულა. მე მაშინ გატაცებული ვიყავი გმირული რომანტიზმით. ვწერდი დრამატულ პოემებს „ბერდოზმანიას“, „ლატვარას“ და „უგვირგვინო მეფეს“. როგორც მე გმირული ამბების წერა მეხერხებოდა, ისე აკაკი ხორავას — გმირული როლების შესრულება. ცხადად ვხედავდი, როგორ ეზრდებოდა ჩვენს თვალწინ აკაკი ხორავა ბუმბერაზ მსახიობად.

მან ჩემს პიესებში ითამაშა ანზორი, არსენა და გიორგი სააკაძე, ხოლო ჩემსავე ნათარგმნებში კარლ მოორი და დიდი ხელმწიფე.

აკაკი ხორავას ბრწყინვალედ მიჰქონდა მაყურებლამდე ადამიანის გრძნობები, მძაფრი განცდები, ვნებები და ტკივილები, აკაკი თვითონაც წერდა, — მე თეატრში ძლიერი, მოქმედი, მოაზროვნე და დაუცხრომელი ვნებების ადამიანები მიყვარსო.

აკაკი ხორავამ ოტელოს თამაშით ისეთ მაღალ მწვერვალს მიაღწია, რომ თვით უცხოელთა აღიარებით იგი სამაყო იყო არა მარტო საქართველოსთვის, არამედ იმ ქვეყნისთვისაც, სადაც „ოტელო“ დაიწერა.

მას ჰქონდა ისეთი შინაგანი ძალა და შთაგონება, რომ თამაშის დროს მთელ დასს ერთ არსებად შეჰკრავდა.

აკაკი ხორავას მიერ შექმნილი ბრწყინვალე სახეები ჩვენი თეატრალური ხელოვნების ოქროს ფონდში შევა. თანამედროვეობის ამ დიდი მსახიობის სახელი, ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწეების სახელებთან ერთად, თაობიდან თაობას გადაეცემა.

სანდრო შანშიაშვილი

სცენის გოლიათი

...ბოლო წლებში იგი უკვე აღარ იყო ჩვენთან; ავადმყოფობამ დაიმარტოხელა, გაინაპირა. მძიმე სენმა საწოლს მიაჯაჭვა და თავის სათაყვანებელ საქმეს მოსწყვიტა.

შესაძლოა, ამ გარემოებამ პირველ ხანებში შეამსუბუქა კიდეც მისი დაკარგვით გამოწვეული სიმძიმილი. ჩვენ ყველანი ხომ უკვე შეჩვეულები ვიყავით მჭეხნავ აზრს, რომ იგი ცოცხლებში აღარ ეწერა!

მაგრამ ახლა, როცა მოსახდენი მოხდა, როცა გარდუვალობამ წერტილი დაასვა მძიმე მოლოდინსა და გაურკვევლობას, ყოველმა ჩვენგანმა ხაოცარი სიმძაფრით იგრძნო, თუ რაოდენ შეუცვლელი და განუმეორებელი ადამიანი დაჰკარგა ქართველმა ხალხმა, მთელმა საბჭოთა კულტურამ.

აკაკი ხორავა იყო გოლიათი თანამედროვე თეატრალური კულტურისა. არათუ თვითონ იგი, მის ფრთეს ქვეშ შეხიზნულნიც კი შეჩრდილან თეატრის ისტორია. როცა იგი სცენაზე გამოდიოდა, მისი დეგმირული სხეული, მომშვილდული და მრავალმეტყველი, ყოველივეს ჩრდილავდა და განუყოფლად ბატონობდა. იგი მართლმარტოც კი ავსებდა სცენასაც და მაყურებელთა გულებსაც. გამოვიდოდა თუ არა ეს ვეებერთელა ვაჟკაცი სცენაზე, ყველაზე საჩინო და ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ იგი ხდებოდა. რაც არ უნდა ოსტატები ყოლოდა გვერდით, მასთან შედარებით უკანა პლანზე ინაცვლებდნენ. უკან, ისინი პირველყოვლისა და უპირატესად აკაკი ხორავას პარტიორები ხდებოდნენ, და მაყურებელთა თვალში თავიანთავადობის რაღაც ნაწილს კარგავდნენ. ასეთი წარმლეკი და გოლიათური ძალა ჰქონდა ამ ძლიერი სულის შემოქმედს. ჭეშმარიტად ძლიერი სხეული, რა ღონეც არ უნდა გააჩნდეს მას, უმწეო და უსუსურია. ყოო რაღაც ტიტანური აკაკი ხორავას მაყურებელზე ზემოქმედებაში.

ჩემი და მომდევნო თაობებისათვის აკაკი ხორავა ისეთივე კორიფეა ქართული თეატრისა, როგორც უფროსი თაობებისათვის ვასო აბაშიძე ან ლადო მესხიშვილი იყვნენ. აკაკი ხორავა ის გასაოცარი მაგნიტი იყო, რომელიც ხალხს თეატრისაკენ ეწეოდა და სცენური ხელოვნების მძლეთამძლეობას აგრძნობინებდა.

ხშირად ხდება, რომ დიდი ხელოვანის მეგობრულად გაცნობისას, მისი ახლო ხილვისას იგი თავის შარავანდედს კარგავს და შენს თვალში ჩვეულებრივ ხოვდავად იქცევა, აკაკი ხორავა ასეთი არ გახლდათ! პირიქით, როცა მას ახლოს გაიცნობდი, აუცილებლად შენს თავშევე იწვნევდი ამ ნებისყოფიანი გოლიათის მომაჯადოებელ ძალას, მის საოცარ ზეგავლენას. ჩემდა სასიხარულოდ, მეც ჩამისხედავს მის თვალებში, ჭაბუკური გზნებით, უნაპირო ვნებიანობით, ვაჟკაცური შემართებით აღსავსე თვალებში, რომლებშიც დრო და დრო წითელი ეშმაკუნები დახტოდნენ. ალბათ ასეთი გიგმაჯი გრძნობით, ასეთი უნაპირო ტემპერამენტით იყვნენ დანაღმული ძველი ქართველი დარდიმანდებიც და ქართული ეროვნული ყოფ-ს ჯოლორიტული ხასიათებიც.

და რაოდენ ძნელია, რომ ამიერიდან ვეღარ ვიხილავთ ამ საოცარ თვალებს, ვეღარ ვიგრძნობთ მათ შუქმფენსა და გამჭოლ მზერას. უღროო სიკვდილმა სამუდამოდ დახუჭა ისინი, ქართული სცენა კიდევ ერთი დიდი ხელოვანით დაობლდა.

გიორგი ციციშვილი,
პროფესორი.

უკვდავი ხელოვნება

ალარა გვყავს ჩვენი შეუდარებელი აკაკი. მეორე არ მეგულება ჩემს თაობაში კაცი, რომელსაც შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ტკივილი ასე მაღლა და სუფთად ეტარებინოს. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული საბჭოთა და საერთოდ საბჭოთა თეატრის განვითარებაში, მისი მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრული სახეები შედგნა მაღალი ოსტატობისა, მათ შორის გაუთქვეს სახელი ქართულ საბჭოთა თეატრს და მაღლა ასწიეს მისი მხატვრული ავტორიტეტი.

როგორც სასიხარულო იყო ჩემთვის, მისი განუყრელი პარტნიორისათვის სცენაზე, 1922 წელს აკაკი ხორავასთან შეხვედრა რუსთაველის თეატრში, ასევე მწვავეა დღეს მასთან განშორება. მაგრამ მისი დაუვიწყარი შემოქმედება არ მაძლევს ნებას გამოთხოვების სიტყვებით დავამთავრო ჩემი სათქმელი. აკაკი ხორავა ჩემთვის და, ვფიქრობ, ყველასათვის, ვინც კი იცნობდა მას და მისი ხელოვნებით დამტკბარა, მარად ცოცხალი დარჩება.

აკაკი ვასაძე,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

არ დაივიწყოთ, ისწავლეთ მშობლიური ქართული!

დედაენა

საზღვარგარეთელ თანამემამულეთათვის
მედგენილი ვალერიან რამიშვილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით

გაკვეთილი 25



ლიმონი

ლი-მო-ნი


ლ ი მ ო ნ ი

ნ

ყა-ნა. ნა-ვი. კი-ნო. ვე-ნა-ხი. თვით-მფრი-ნა-ვი.

მაყვალა ყანაშია. ქუჩუნა კინოშია. ბაღში ნუში და ლეღვია. ლიმონი მჟავეა. პელომ საპონი იყიდა. მაყვალა ნავში ზის.

პავლე პეპლებს დასდევს. ირიჟრაჟა. თვითმფრინავი გაფრინდა. კომბაინი სამეურნეო იარაღია. გოგონა პიანინოს უკრავს.



გაკვეთილი 26



წერო

წე-რო

წ ე რ ო


წ

წი-წი-ლა. მა-წო-ნი. მო-წა-ფე. წიგ-ნი.

წერო ფრინველია. დედამ მაწონი ჩაადუღა. წიწილა წივის. მანანა წყაროს წყალს სვამს.

მოწაფე წიგნს ფურცლობს. ამირანმა დალი პარკში წაიყვანა. პავლე და ვაჟა პიონერები არიან.

ა ნ დ ა ზ ა: ფრინველსა ფრთები ამშვენებს, ადამიანს — გონებაო.



არ დაივიწყოთ, ისწავლეთ მშობლიური ქართული!

თოჯინების სამყაროში

თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მნახველის ყურადღებას იპყრობს სათამაშოების მუზეუმი, რომელიც 1937 წელს რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის თინათინ თუმანიშვილის მოთაობით დაარსდა.

თინათინ თუმანიშვილმა დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი მისთვის გამოყოფილ მცირე ფართობზე დიდი საქმის კეთებას. სურვილსა და მიზანსწრაფვას თან ახლდა ბავშვთა სულიერი სამყაროს საფუძვლიანი ცოდნა. მრავალი წლის მანძილზე საბავშვო ბაღის პედაგოგს, განათლების წარჩინებულ მუშაკს, არაერთი საბავშვო წიგნის ავტორსა და თანაავტორს, ენატრებოდა მუზეუმის დასათვალიერებლად მოსული ბავშვების გაოცებული და გახარებული სახეების ნახვა. მისი ოცნება ასრულდა და დღეს ეს მუზეუმი იზიდავს და ხიბლავს არა მარტო ბავშვებს, არამედ მოზრდილებსა და ხანდაზმულებსაც კი.

რამდენადაც ვიცით, მუზეუმი ერთადერთია საბჭოთა კავშირში.

მუზეუმში უამრავი სათამაშოა წარმოდგენილი, მათი ავტორები არიან მხატვრები ნინო ბრაილაშვილი, ნინო ბელიაევა, ლუდმილა გოლჩევსკაია, კონსტრუქტორი რაფიელ ბეგთაბეგიშვილი. ძირითადად ეს ოთხი ნიჭიერი ხელოვანი უნდა ჩაითვალოს მუზეუმის ექსპონატების შემქმნელებად.

მხატვარმა ნინო ბრაილაშვილმა ჯერ კიდევ მუზეუმის დაარსებამდე გააკეთა ხის თოჯინა, რომელსაც სახელად „მანანა“ დაარქვა. „მანანას“ „ეკა“ მოჰყვა. თოჯინა ჯდებოდა და, რაც მთავარია, დავარდნისას არ იმსხვრეოდა. ქალბატონ ნინოს ეკუთვნის აგრეთვე თოჯინა „რეზო“.

მასალად მხატვარი იყენებს, ხეს, ქსოვილების ნაჭრებს, მუყაოს, ძაფსა და გოგრასაც კი.

ნინო ბელიაევამ ადრე გაკეთებულ „ლუარსაბსა და დარეჯანს“ გვერდში ამოუყენა ილია ჭავჭავაძის უკვდავი სატირის სხვა გმირები — „ელისაბედი“ და „ლამაზისეული“, შემდეგ თოჯინებში ასახა ქართველი ქალის სილამაზე, მოდელად გამოიყენა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის ივანე მაჩაბლის მეუღლის — ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლის პორტრეტი. კინომსახიობების ნატო ვაჩნაძისა და თამარ ციციშვილის პორტრეტების მიხედვით შექმნა დედოფლები „ნატო“ და „მზია“ საინტერესოა იმავე მხატვრის ნამუშევარი — „მწყემსი გურამი“. ეს ნაბდისქუდიანი კომბლიანი ბიჭუნა იმდენად მიმზიდველია, რომ დიდხანს ვერ აშორებთ თვალს.

შეჰყურებს პატარა მნახველი ნაირ-ნაირ სათამაშოს და მუზეუმიდან გამოდის დაიმედებული, რომ ზოგი მათგანის გაკეთებას თვითონაც შეძლებს. შესანიშნავია, თოჯინების მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, რომელიც ასრულებს „სულიკოს“. ამ ანსამბლის კონსტრუქცია ეკუთვნის რაფიელ ბეგთაბეგიშვილს. ვინ იცის, ბავშვებისათვის რამდენი თოჯინა აამეტყველა პატარების ამ დიდმა მეგობარმა. აი „მარინე“, ეშმაკურად რომ აცეცებს შავ თვალებს, თითქოს გეუბნებათ, შემომხედეთ, რას გავაკეთებო, პატარა ჯამში წკირას ჩაჰყოფს, წამიც და ჰაერში საპნის ბუშტები იწყებენ ფარფატს...



„მწყემსი გურამი“.

ერთ-ერთი ოთახი განკუთვნილია უცხოური თოჯინებისათვის. აქ გამოფენილია ფრანგული, გერმანული, იაპონური, ჩინური თოჯინები — „მტირალა გოგონა“, „ყავის სმა“, „მგალობელი ჩიტები“, „მერძევეები“ და სხვა.

აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ მუზეუმს საჩუქრად ჩამოუტანა თოჯინები პოლონეთიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

მუზეუმს მიღებული აქვს 13 პრემია, აქედან 10 საკავშირო და 3 რესპუბლიკური, ქების სიგელები.

შთაბეჭდილებათა წიგნში იოსებ გრიშაშვილს ჩაუწერია: „მოულოდნელობა და განცვიფრება! — აი რა ვიგრძენი ამ პატარა მუზეუმში“.

„მოხიბლული ვართ ამ მუზეუმის კოხტა, სწორუპოვარი ექსპონატებით“, ხელს აწერენ მხატვრები კიბრი, პლასტოვი და შმარინოვი.

როცა ინდოელმა მწერალმა კრიშან ჩანდრმა ინახულა ეს ორი პატარა, გემოვნებით მორთული ოთახი, თქვა, ეს მუზეუმი საქართველოს დაუვიწყარს ხდისო.

საინტერესოა, რას იტყოდნენ ჩვენი პატარა თანამემამულენი ეს სამყარო რომ ენახათ? ალბათ — რა კარგიაო!

გულნარა სეფერთელაძე



„ლუარსაბი და დარეჯანი“



„ტასო“

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

დავგეძებენ, მოგელიან

გრიშა (გიორგი) ივლიანეს ძე ჩანტლაძეს,

დაბადებულს 1916 წელს ჩოხატაურში, ეძებენ დედა — **დომინო**, მცხოვრები ჩოხატაურში, ძნელაძის ქუჩა № 17, და — **რუსუდანი**, დისწული — **ოთარ გერსამია**, ძმები — **კაკო და ალექსანდრე ჩანტლაძეები**, მცხოვრებნი სოხუმში, ოჩალენკოს მე-3 შესახვევი № 12.

ანტონ გიორგის ძე ინაურს,

დაბადებულს 1912 წელს გორის რაიონის სოფელ ბროწლეთში, ეძებენ მეუღლე — **ნინო**, შვილები — **ჟუჟუნა, რუიზან და ციცინო ინაურები**, მცხოვრებნი გორში, მეჯვრისხევის ქუჩა № 14.

ისაკ იაკობის ძე ბულაშვილს,

დაბადებულს 1914 წელს ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში, ეძებს შვილი — **რომან ბულაშვილი**, მცხოვრები სოფელ სნოში.

იოანე (იანე) გერასიმეს ძე ბარამიას,

დაბადებულს 1920 წელს გეგეჭკორის რაიონის (მარტვილის) სოფელ კიწიაში, ეძებენ ძმა — **ავქსენტი**, რძალი — **ანტისა ბარამიები**, მცხოვრებნი სოფელ კიწიაში.

ილია გიორგის ძე ილიაშვილს,

დაბადებულს 1918 წელს თბილისში, ეძებენ დედა — **მარიამი**, მამა — **გიორგი**, და — **თინა ილიაშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, ახალციხის შესახვევი № 13.

სიმონ ილიას ძე ოთარაშვილს,

დაბადებულს 1905 წელს აზერბაიჯანში, კახის რაიონის სოფელ კახ-ინგილოში — პოვნაში, ეძებენ შვილი — **ანდრო**, რძალი — **დარიკო**, შვილიშვილები — **გოდერძი და სიმონ ოთარაშვილები**, მცხოვრებნი კახ-ინგილოში.

ლევან გერმანეს ძე ჩხარტიშვილს,

დაბადებულს 1920 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათში, ეძებენ დედა — **დესპინე**, ძმები — **გრიგოლ და სამსონ**, დები — **თამარ, მარიამ ჩხარტიშვილები**, მცხოვრებნი სოფელ ჯუმათში.

გიგლა ნიკოლოზის ძე დონდუას,

დაბადებულს 1924 წელს აბაშის რაიონის სოფელ მარანში, ეძებენ დედა — **საშა**, დები — **ნელი, ეთერ, ლილი დონდუები**, მცხოვრებნი სოფელ მარანში.

არსენ დიანოზის ძე ცხაკაიას,

დაბადებულს 1911 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ქვაითში, ეძებენ ძმა — **კოლია**, მეუღლე — **საშა**, შვილები — **გურამ და ნანული**, რძალი — **ჯულიეტა**, შვილიშვილები — **არსენ და ლეილა ცხაკაიები**, მცხოვრებნი ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა № 9.

გრიგოლ (გიგლა) ბაგრატის ძე მოწერელიას,

დაბადებულს 1918 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახარებაოში, ეძებენ ძმები — **ალექსანდრე და გენადი მოწერელიები**, მცხოვრებნი სოფელ ნახარებაოში.